შეფასების საანგარიშო მოხსენება

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (ბთჯ) მილსადენის პროექტთან დაკავშირებული საჩივრის შესახებ

წალკა, საქართველო

2004 წლის ნოემბერი

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
მრავალმხრივი დაბანდების სააგენტო
შეთანხმების მრჩევლის/ ომბუცმენის

ოფისი

შინაარსი:

შემოკლებათა სია 3

შესავალი 4

სურათი 1. საჩივარში წამოჭრილი საკითხები 6

შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის შეფასება 8

დასკვნები/რეკომენდაციები 19

დანართი 21

შემოკლებათა სია:

BP	ბრითიშ პეტროლეუმი
BTC	ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი
BTC Co	ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი კომპანია
CAO	შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისი
ESIA	გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასება
GEL	ქართული ფულის ერთეული: ლარი
GIOC	საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაცია
IFC	საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია
MIGA	მრავალმხრივი დაბანდების სააგენტო
SPJV	სპიე კაფაგ და პეტროფაგის ერთობლივი კომპანია

შესავალი

2004 წლის 12 ივლისს შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისმა მიიღო წალკის მაცხოვრებელთა მიერ შემოტანილი საჩივარი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობის მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით. შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისმა გადაწყვიტა, რომ ეს საჩივარი აკმაყოფილებდა საჩივრის მიღების კრიტერიუმს. შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისმა განიხილა საჩივარში წამოჭრილი საკითხები სხვადასხვა დოკუმენტების, პროექტთან დაკავშირებული საბუთებისა და 2004 წლის ივლისში შეთანხმების მრჩევლის ოფისის თანამშრომლების სტუმრობის დროს ადგილზე ჩატარებული გამოძიების მასალებზე დაყრდნობით.

ამ საჩივრის ძირითადი თემაა ქალაქ წალკაში ბთჯ-ს მილსადენის 122 კმ ნიშანთან არსებული ბთჯ-ს მშენებელთა ბანაკის ახლომდებარე სახლების დაზიანება იმის გამო, რომ ბანაკთან ახლომდებარე არხები მოუვლელია და ნიაღვრის შემთხვევაში ტბორავს განმცხადებელთა სახლებს,ბოსტანს და დამხმარე სათავსოებს. საჩივარში აგრეთვე მოხსენებულია ის ფაქტი, რომ ბთჯ-ს კომპანიის გამო დააზიანდა ქუჩები, არსებული ქუჩის წყლის დამწრეტი კიუვეტის არხები და აგრეთვე არასწორად იქნა გაიყვანილი საკანალიზაციო მილები წყლის რეზერვუარის მახლობლად. მომჩივართა თანახმად ამ საკითხზე ბთჯ-ს მშენებელთა ბანაკის მიერ მიღებული ზომები არადამაკმაყოფილებელია.

საჩივრის შეფასებას მივყევართ მთელ რიგ რეკომენდაციებამდე, რომლებიც წარმოდგენილია ამ მოხსენების ბოლო ნაწილში.

ზოგადი ინფორმაცია

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მთვარი საექსპორტო მილსადენის პროექტი მოიცავს განვითარებას, დაფინანსებას, მშენებლობას და ოპერაციას ნავთობის სისტემისა რათა გადაზიდოს ნავთობი არსებული ნავთობის სადგურ სანგაჩალიდან ბაქოს (აზერბაიჯანი)

მახლობლად საქართველოს გავლით ახალ სადგურამდე რომელიც აშენებული იქნება ჯეიჰანში, თურქეთში, ხმელთაშუა ზღვაზე. 1,760 კილომეტრიანი მილსადენი მთელ სიგრძეზე მთლიანად მიწისქვეშ ჩამარხული იქნება და გაივლის აზერბაიჯანს (442 კილომეტრი), საქართველოს (248 კილომეტრი) და თურქეთს (1,070 კილომეტრი). მილსადენი გადაზიდავს გადაუმუშავებელ ნავთობს კასპიის ზღვის აზერი, ჩირაგი და გუნაშლი ნავთობის სადგურიდან (ცნობილი როგორც ACG სადგური). მილსადენის დაგეგმილი მოცულობა დააკმაყოფილებს არსებულ ნავთობის მარაგის გადაზიდვას და აგრეთვე დამატებით წარმოებას ACG (აზერი, ჩირაგი და გუნაშლი) რომლის წარმოების მთლიანი მოცულობა იქნება 1 მილიონი ბარელი დღეში. გეგმის მიხედვით მილსადენი მუშაობას დაიწყებს 2005 წლის მეორე ნახევარში.

პროექტის სპონსორია ბთჯ კომპანია, რომელიც შედგება 11 პარტნიორისგან და დაარსებული იყო 2002 წლის აგვისტოში. ბრითიშ პეტროლეუმი (BP), რომელიც არის პროექტის ყველაზე დიდი მეპაიე (31.1%), აწარმოებს მილსადენის მოქმედებას. სხვა პარტნიორები (მონაწილეობის სიდიდის მიხედვით დიდიდან პატარამდე) არიან SOCAR (აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობის კომპანია) (25%)), UNOCAL (უნოქალი) (8.9%)), STATOIL (სტატოილი) (8.7%)), TPAO (თურქეთის ნავთობის კომპანია) (6.5%)), Eni (ენი) (5%)), TotalFinaElf (ტოტალფინალელფი) (5%)), ITOCHU (იტოჩუ) (3.4%)), INPEX (ინპექსი) (2.5%)), ConocoPhillips (ქონოქოფილიპსი) (2.5%)) და Armada Hess (არმადა ჰესი) (2.5%)). როგორც მილსადენის ოპერატორი [1] , ბრითიშ პეტროლეუმი პროექტისა და მშენებლობის ფაზების მეთაურია.

მილსადენის ნაწილი, რომელიც საქართველოში გაივლის, დაიწყება საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე მდებარე გარდაბნის რაიონში და გადაკვეთავს ქვეყნის შვიდ რაიონს და ქალაქ რუსთავს (იხ. სურათი1) და დასრულდება ახალციხის რაიონ სოფელ ნაოხრებში თურქეთის საზღვართან. 2000 წლის ოქტომბერს გაცემული პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კომპანია საქართველოს წარმომადგენელი იქნება. საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაცია ითამაშებს მთვრობის წარმომადგენლის როლს, რომლის საშუალებითაც ბთჯ კომპანიას საშუალება ექნება მოითხოვოს და მიიღოს გარკვეული უფლებები,

[1] მთლიან მოხსენებაში ბთჯ კომპანია არის მოხსენებული რეკომენდაციების ნაწილის ჩათვლით. მიუხედავად ამისა, მთლიანი პასუხისმგებლობა მიღებული რეკომენდაციების განხორციელებისა აწევს ბრითიშ პეტორელეუმს, როგორც მილსადენის ოპერატორს.

ლიცენზიები, სერთიფიკატები, ნებართვები და დამტკიცებები პროექტის მოქმედებისათვის. სპიე ქაფაგ და პეტროფაგის ერთობლივი კომპანიას (SPJV) მიეცა უფლება აწარმოოს საამშენებლო სამუშაოები საქართველოს ტერიტორიაზე.

სურათი 1. საჩივარში წამოჭრილი საკითხები

წყარო: ბრითიშ პეტროლეუმის ბროშურა: მილსადენისგვერდით ცხოვრება

Georgia - საქართველო

Russia - რუსეთი

Turkey - თურქეთი

Azerbaijan - აზერბაიჯანი

Armenia - სასომხეთი

Tbilisi - თბილისი

Adigeni - ადიგენი

Vali - ვალი

Akhaltsikhe - ახალციხე

Botjomi - ბორჯომი

Bakuriani - ბაკურიანი

Tsalka - წალკა

Tetritskaro - თეთრიწყარო

Pump station one - სატუმბი სადგური ნომერი ერთი

Pump station two - სატუმბი სადგური ნომერი ორი

Rustavi - რუსთავი

Gardabani - გარდაბანი

Marneuli - მარნეული

საჩივრის შეფასება

განმცხადებლები:

1) მამია თავართქილაძე, ავთანდილ თავართქილაძე, თინათინ ნადირაძე
მცხოვრები ქალაქ წალკაში, სტალინის ქუჩა 123

2) ვალერი კონსტანტინიდი
მცხოვრები ქალაქ წალკაში, სტალინის ქუჩა 127

3) ედნარ აბულაძე
მცხოვრები ქალაქ წალკაში, სტალინის ქუჩა, 130

ორი წლის წინ მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო მამია თავართქილაძის, ავთანდილ თავართქილაძის და თინათინ ნადირაძის ოჯახებმა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საცხოვრებელი ადგილი შეიცვალეს და გადავიდნენ ხულოდან (დასავეთ საქართველოდან, კერძოდ აჭარიდან) წალკაში. ფინანსური მიზეზების გამო ამ სამმა იოჯახმა დაიქირავა ერთი სახლი ადგილობრივი მაცხოვრებლისაგან (კირიაკ აიდანოვისაგან).

საჩივრის საფუძველი:

განმცხადებელები ამბობენ, რომ მიუხედავად ბთჯ-ს ვალდებულებებისა გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასებისათვის (ESIA), მშენებელთა ბანაკის დაგეგმვის დროს ადგილობრივი კლიმატური პირობები და ნიადაგის მდგომარეობა არ იქნა მხედველობაში მიღებული. ისინი აგრეთვე ამბობენ, რომ წალკაში სპიე-კაფაგ პეტროფაგის (SPJV - საამშენებლო კომპანია) ბანაკის მშენებლობის გამო დაიტბორა განმცხადებელთა საცხოვრებელი სახლები (იხ. საკითხი 1).

ძირითადად, საჩივარში გამოთქმულია უკმაყოფილება იმის შესახებ, რომ სპიე-კაფაგ პეტროფაგის (SPJV) კომპანიამ ბანაკის მშენებლობის დროს არ გაიყვანა ადეკვატური წყლის დამწრეტი არხები და დააზიანა არსებული ქუჩის წყლის დამწრეტი კიუვეტის ის მილები, რომელიც სახლებს დატბორვისაგან იცავდა (იხ. საკითხი 1).

ამასთან დამატებით, მშენებელთა ბანაკი არის მოთავსებული მაღლობზე. დიდი წვიმების დროს -რომელიც დამახასიათებელია წალკის რაიონისათვის -ქუჩის წყლის დამწრეტი კიუვეტის უქონლობის გამო ნიაღვარი დაბლა მიედინება, ნიადაგი კი წყალს ვერ იწოვს და ტბორავს ახლომდებარე საცხოვრებელ სახლებს (იხ. საკითხი 1).

სახლებს საკანალიზაციო სისტემა რა აქვთ და კანალიზაციიდან მდინარე წყლები გროვდება სპეციალურ ორმოებში. ნიაღვრის დროს ეს ორმოები ივსება და კანალიზაციის წყლები მიედინება ეზოებში. მშენებელთა ბანაკის საკანალიზაციო სისტემაც ხშირად ზიანდება (იხ. საკითხი 1).

სპიე კაფაგ პერტოფაგმა ადგილობრივ მოსახლეობასთან შეუთანხმებლად და საჩივრის მიუხედავად გაიყვანა საკანალიზაციო სისტემა მშენებელთა ბანაკისათვის. მაცხოვრებელთა აღშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ კანალიზაციის პლასტმასის მილები სასმელი წყლის მილების ზემოთ იქნა გაყვანილი და მოსახლეობა ამ სასმელი წყლით მარაგდებოდა. საკანალიზაციო მილების დაზიანების შემთხვევაში სასმელი წყლის დაბინძურების რეალური შესაძლებლობა არსებობს. წყლის დამწრეტი არხები დაზიანდა და თვითონ გზასაც კი მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა საკანალიზაციო არხების გაყვანის დროს (იხ. საჩივარში წამოჭრილი საკითხები II).

ადგილობრივმა მოსახლეობამ ბევრჯერ მოითხოვა სამუშაო მშენებელთა ბანაკში. ბანაკის მუშებთა უმეტესობა უცხოელია ან საქართველოს სხვა რაიონებიდან ჩამოყვანილი. მშენებლობის დაწყებამდე კი ბრითიშ პეტროლეუმმა საჯაროდ განაცხადა, რომ სამუშაო ძალების დაქირავებისას ადგილობრივ მაცხოვრებლებს მიეცემოდათ უპირატესობა.

<u>საჩივარში წამოჭრილი სპეციფიური საკითხები</u>:

საჩივარში წამოჭრილი საკითხი 1: სახლების დატბორვა

მამია თავართქილაძის, ავთანდილ თავართქილაძისა და თინათინ ნადირაძის მიერ დაქირავებული სახლი სამჯერ დაიტბორა მშენებელთა ბანაკის გამო
28-31 მაისს, 5-6 ივნისს და 23 ივნისს (იხ. დაზიანების დაწვრილებითი აღწერა საჩივარში, გვ.12)

ამასთან დამატებით, ვალერი კონსტანტინიდის და ედნარ აბულაძის სახლებიც დაიტბორა 5-6 ივნისს და 23 ივნისს (იხ. საჩივარი, გვ.12).

დატბორვა 28-31 მაისს

დატბორვის შემდეგ, მამია თავართქილაძემ, ავთანდლი თავართქილაძემ და თინათინ ნადირაძემ მიმართა სპიე-კაფაგ პეტროფაგის (SPJV) კომპანიას კომპენსაციისათვის. მათ აგრეთვე მოითხოვეს დაზიანებული ქუჩისა და ქუჩის წყლის დამწრეტი კიუვეტის არხების შეკეთება. კომპანია დათანხმდა გარკვეულ კომპენსაციაზე (იხ. დაწვრილებითი აღწერა საჩივარში გვ.12, შენიშვნა 1), მაგრამ უარი თქვა დაზიანებული მოსავლის კომპენსაციაზე. კომპანიის წარმომადგენლის განცხადების თანახმად დაზიანებული მოსავლის კომპენსაცია არის კომპანიის პასუხისგებლობის მიღმა და განმცხადებელებმა უნდა მიმართონ ადგილობრივ მიწის განყოფილებას. მთლიანი ზარალი შეფასებული იქნა 3,000 ლარად (US $1,500). მიუხედვად იმისა, რომ კომპანიას თანხა არ ჰქონდა, მისი წარმომადგენლის განცხადების თანახმად კომპენსაციის სახით გაცემული იქნა ერთი მაცივარი, ერთი საყინულე, 24 სკამი, ერთი რადიატორი და 20 კგ ლურჯი საღებავი (იხ. დანართი VII). სპიე-კაფაგ პეტროპაგი დათანხმდა არხის შეკეთებას 2004 წლის 28 მაისს (იხ. საჩივარი, საკითხი II).

დატბოორვა 5-6 ივნისს

მამია თავართქილაძემ, ავთანდილ თავართქილაძემ და თინათინ ნადირაძემ, ვალერი კონსტანდინიდისმა და ედნარ აბულაძემ 5-6 ივნისს მათი სახლების დატბორვის შემდეგ მიმართეს სპიე კაფაგ პეტროფაგის მოსახლეობასთან ურთიერთობის ოფიცერს ბატონ გოჩა მღებრიშვილს, მაგრამ კომპანიამ დაზიანების გამო პასუხისმგებლობის აღების შესახებ უარი თქვა. განმცხადებლებმა მიმართეს რაიონულ ხელისუფლებას , რომელმაც შექმნა კომისია რომლის მიზანიც იყო შეესწავლა დაზიანების მიზეზები და დაედგინა მიყენებული ზიანის ღირებულება. კომისიამ გამოიძიება ჩაატარა, საჩივარში აღძრულ ფაქტებს დაეთანხმა (იხ. დანართი X) და აღნიშნა რომ სპიე კაფაგ პეტროფაგს ნაწილობრივ მიუძღოდა ბრალი დაზიანებაში. 2004 წლის 24 ივნისს რაიონულმა ხელმძღვანელობამ წერილი გაუგზავნა სპიე კაფაგ პეტროპაგის პროექტის მენეჯერს (იხ. დანართი XI) რათა მათაც გამოეძიათ აღნიშნული საკითხი. საჩივრის თანახმად კომპანიამ

შესთავაზა მამია თავართქილაძეს კომპენსაცია იმ პირობით, თუ კი იგი ამის შესახებ მეზობლებს არ არ გაუმხელდა. შეთავაზებული პირობების გამო მამია თავართქილაძემ უარი განაცხადა კომპენსაციაზე. ბთჯ-მ აღნიშნა რომ კომპანიის წესია საიდუმლო შეთანხმებებს ადგილი არ ჰქონდეს.

დატბორვა 23 ივნისს

შემდგომი დატბორვის შემდეგ მამია თავართქილაძემ, ავთანდილ თავართქილაძემ, თინათინ ნადირაძემ, ვალერი კონსტანტინიდმა და ედნარ აბულაძემ მიმართეს კომპანიას, მაგრამ უშედეგოდ. მამია თავართქილაძემ, ავთანდილ თავართქილაძემ და თინათინ ნადირაძემ მეორე წერილი გაუგზავნა სპიე კაფაგ პეტროპფაგის (SPJV) კომპანიის ადმინისტრაციას (იხ. დანართი VII) მესამე დატბორვის შედეგად მიყენებული დაზიანების შესახებ. 30 ივნისს განმცხადებლებმა მიიღეს პასუხი სპიე კაფაგ პეტროფაგისაგან “რომ ამ შემთხვევაში კომპანიას არ შეუძლია იკისროს პასუხისმგებლობა უსაფუძვლო მოტივაციის გამო”.

საჩივარში წამოჭრილი საკითხი II: სტალინის ქუჩის დაზიანება

მამია თავართქილაძის, ავთანდილ თავართქილაძის, თინათინ ნადირაძის, ვალერი კონსტანტინიდისა და ედნარ აბულაძის საჩივარში ხაზგასმულია 4 ძირითადი საკითხი:
1) მშენებელთა ბანაკისათვის კანალიზაციის სისტემა გაყვანილი იქნა დაზიანებული სასმელი წყლის მილებს ზემოთ რაც გამოიწვევს გაბინძურების შესაძლებლობას მილის დაზიანების შემთხვევაში;
2) ბანაკისათვის კანალიზაციის მილების მშენებლობის დროს დაზიანდა სტალინის ქუჩა და ქუჩაზე არსებული წყლის დამწრეტი კიუვეტები;
3) კანალიზაციის მილების მშენებლობისა და კომპანიის მძიმე სატვირთო მანქანების მოძრაობის გამო (მიუხედავად აკრძალვისა) დაზიანდა სტალინის ქუჩის ზედაპირი; სტალინის ქუჩაზე გაჩნდა ორმოები, რომლებიც წვიმის დროს სიარულს შეუძლებელს ხდის და 4) აუტანელი ხმაური - მუშების ყვირილი, მანქანების მოძრაობისა და აგრეთვე ერთდროულად მომუშავე 4-5 გენერატორის ხმა ისმის ყოველდღე დილის 6 საათიდან ღამის 2 საათამდე.

საჩივარში წამოჭრილი საკითხი III: მუშაობის შესაძლებლობა

მშენებლობის ბანაკთან მცხოვრები მოსახლეობა ითხოვს რომ კომპანიამ ადგილობრივი მაცხოვრებლები დაიქირაოს. მშენებლობის დაწყებამდე ბრითიშ პეტროლეუმმა საჯაროდ განაცხადა რომ დაქირავების დროს უპირატესობა ადგილობრივ მოსახლეობას მიენიჭებოდა, მაგრამ დღეს დღეობით დაქირავებულ მუშა-ხელთა უმრავლესობა ან უცხოელია ან საქართველოს სხვა რაიონებიდანაა. ადგილობროვი მოსახლეობა აგრეთვე მოითხოვს, რომ კომპანიამ გაიყვანოს ახალი კანალიზაციის სისტემა და შეაკეთოს დაზიანებული გზა როგორც კომპენსაცია სულიერი და მორალური ზიანისათვის. 2004 წლის 30 მაისს სტალინის ქუჩის მაცხოვრებელთა სახელით მამია თავართქილაძემ წალკის რაიონის გამგებელ ბატონ მ. ცქიტიშვილს გაუგზავნა წერილი სადაც აღწერა ზემოხსენებული მდგომარეობა, რასაც არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. 2004 წლის 6 ივნისს წალკის მაცხოვრებლებმა პიკეტი მოაწყვეს მშენებელთა ბანაკთან მისასვლელ გზასთან ყურადღების მისაქცევად. ადგილობროვი ხელისუფლება მოვიდა პიკეტის ადგილას და ეცადა მოეგვარებინა სიტუაცია კომპანიასა და მაცხოვრებლებს შორის. მაგრამ კომპანიის დაცვის უფროსმა დააშინა მაცხოვრებლები, რომ თუკი არ დაიშლებოდნენ მაშინ სპეციალურ შეიარაღებულ ძალებს გამოუძახებდა.

საჩივრის შეფასების ცხრილი

საჩივარში წამოჭრილი საკითხები	ბთჯ-ს პერსპექტივა	შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის დასკვნები და რეკომენდაციები
1. სახლების დატბორვა სტალინის ქუჩაზე	დიდი წვიმების შედეგად წყლის დამწრეტი კიუვეტის ისედაც ცუდი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. საკანალიზაციო სისტემას შეკეთება ჭირდება. მშენებლობის ბანაკის აშენებამდე წკალდიდობებს ჰქონდა ადგილი და ამ წყალდიდობების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. სპიე-კაფაგ პეტროპაგმა გამოცვალა წყლის დამწრეტი არხები , რომელიც დაზიანებული იყო პირველი წყალდიდობის დროს 2004 წლის მაისში. სპიე კაფაგ პტროფაგის კომპანიამ ბევრი საქველმოქმედო სამუშაო ჩაატარა: შეაკეთა საკანალიზაციო სისტემა, წყლის დამწრეტი არხები და გზის ზედაპირი სტალინის ქუჩის ჩათვლით. სპიე კაპაგ პეტროფაგის კომპანიამ ერთგვარი კომპენსაცია გადაუხადა განმცხადებლებს 2004 წლის 6 ივნისს ფულადი გადასახადის მაგივრად. განმცხადებლებს უარი არ უთქვიათ კომპენსაციაზე.	7 ივნისით დათარიღებული “შეფასების ოქმის” თანახმად შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისის მიერ ადგილზე ჩატარებულმა შეფასებამ დაადასტურა წყალდიდობით მიყენებული ზიანი, მაგრამ ძირითადი გამოკვლევისათვის საჭირო მასალების უქონლობის გამო ძნელია იმის თქმა , რომ წყალდიდობით მიყენებული ზიანი შეიძლება მხოლოდ სპიე კაფაგ პეტროფაგის მიზეზი იყოს. როგორც ჩანს, სპიე კაფაგ პეტროპაგმა თავზე აიღო ნაწილობრივი პასუხისმგებლობა და შეაკეთა არხები და არაფულადი კომპენსაცია გადაიხადა. როგორც ნათქვამია გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასებაში (10-10, შემამსუბუქებელი ზომა №9) დროებითი მშენებლობის (აგრეთვე ბანაკის მშენებლობის) დროს კანალიზაციის წყლის მიერ სასმელი წყლის მარაგის დაბინძურება თავიდან უნდა იქნას აცილებული გადამამუშავებელი სადგურების მოვლისა და დაბინძურების სტანდარტების გატარებით.

	სპიე კაფაგ პეტროფაგის კომპანია რამოდენიმეჯერ დაეხმარა მაცხოვრებლებს დატბორილი სახლებიდან/ეზოებიდან წყლის ამოტუმბვაში. ბთჯ-ს კომპანიას მნიშვნელოვნად არ გაუუმჯობესებია დაზიანებული გზის ზედაპირი. სპიე კაფაგ პეტროფაგის კომპანიისათვის არავის უცნობებია საკანალიზაციო სისტემის დაზიანების შესახებ; კომპანიამ გაიყვანა 120 მეტრი სიგრძის ახალი მილები ბანაკის მახლობლად და შეაკეთა ორი ახლომდებარე საკანალზაციო მილები. სპიე კაფაგ პეტროფაგს არ მიუღია წერილობითი საჩივარი კონსტანიდისაგან ან აბულაძისაგან (28-31 მაისი, 5-6 ივნისი, 23 ივნისი); პირველი სიტყვიერი საჩივარი განხილული იქნა და ამის შედეგად სპიე კაფაგ პეტროფაგის კომპანიის დახმარებით წყალი ამოტუმბული იქნა ორივე განმცხადებლის სახლიდან და წყლის დამწრეტი არხებიდან. მ. თავართქილაძის მიერ 5 ივნისს შეტანილი საჩივრის საფუძველზე წყალი იქნა ამოტუმბული. 24 ივნისის საჩივარს უარი ეთქვა და 30 ივნისს (რადგანაც ზიანი არ იყო ნაჩვენები). სპიე კაფაგ პეტროფაგი და ბთჯ-ს კომპანიის წესია რომ ზიანი შეკეთდეს ან	სპიე კაფაგ პეტროფაგის მიერ საჩივართა არათანამიმდევრულად რეგისტრაციამ საჩივართა განხილვის სისტემა მწყობრიდან გამოიყვანა. საჩივრის ასლი უნდა იქნას გამოყენებული საჩივრისათვის, მიუხედავად იმისა, წერილობითია თუ სიტყვიერი, გადაწყვეტილი თუ გადაწყვეტის პროცესში. ადგილობრივი კომისის მიერ მიყენებული ზიანის აღწერა განსხვავდება მაცხოვრებელთა მიერ საჩივარში აღწერილი დაზიანებისაგან. 7 ივნისით დათარიღებულ “შ ფასების ოქმში” მოყვანილი დაზიანებულ ნივთებთა სია არ ემთხვევა განმცხადებლების საჩივარში მოხსენებულ სიას. ამ საჩივართან დაკავშირებული სიტუაციის გამო შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისი ურჩევს ბთჯ კომპანიას რომ მიიღოს მხედველობაში განსხვავებები და საჩივრის განხილვის დასრულებისათვის პირადად მიიღოს მონაწილეობა.

	გამოიცვალოს და არა ფულადი კომპენსაცია. საიდუმლო თანხმობები მოსახლეობასთან არის ბთჯ-სა და სპიე კაფაგ პეტროფაგის წესების დარღვევა. სიტყვიერი საჩივარი არ არის მიღებული განსახილველად თუკი საჩივარში წამოჭრილი საკითხი ადგილზე იქნა გადაწყვეტილი. სპიე კაფაგ პეტროფაგს არ აქვს არანაირი ჩანაწერი იმისა, რომ მიღებული იქნა წერილი ადგილობრივი ხელმძღვანელობისაგან (2004 წლის 24 ივნისი), რომელიც შეიცავს 7 ივნისს წყალდიდობის მიერ მიყენებული დაზიანების “შეფასების პროტოკოლს”, მაგრამ მიღებულია წერილი სამანქანო მოწყობილებების შესახებ. წყალდიდობის ფაქტი არასოდეს არ ყოფილა კამათის საგანი, მაგრამ სპიე კაფაგ პეტროფაგის პასუხისმგებლობის დონე კი არის. ეს საკითხი გამოძიებული და უარყოფილი იქნა.	

II. სტალინის ქუჩის დაზიანება	სპიე კაპაგ პეტროფაგის თანახმად, სასმელი წყლის მარაგის დაბინძურებას ადგილი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ორივე, სასმელი წყლის და კანალიზაციის მილები დაზიანდება. ბთჯ-ს კომპანიას არ მიუღია საჩივარი სასმელი წყლის მილების დაზიანების შესახებ. გზის ზედაპირი ცუდ მდგომარეობაში იყო პროექტის მშენებლობის დაწყებამდე და სპიე კაფაგ პეტროპაგმა შეაკეთა გზის ზედაპირი. სპიე კაფაგ პეტროფაგის მიერ გამაფრთხილებელი ნიშნები იქნა დაყენებული რათა მილადენის მშენებლობასთან დაკავშირებულ მანქანებს ეს გზა არ გამოეყენებინათ. სპიე კაფაგ პეტროფაგმა შეცვალა მანქანების დილით მოძრაობის გრაფიკი საჩივარში წამოჭრილი საკითხის გამო. მშენებლობასთან დაკავშირებული ხმაურის დონე კონტროლდება WBG სტანდარტების მიხედვით. გენერატორის შემოწმებამ უჩვენა რომ ხმის დონე და ჰაერის დაბუნძურების დონე WBG სტანდარტებს აკმაყოფილებს.	შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისის თანამშრომელბის მიერ ადგილზე ჩატარებულმა გამოძიებამ ვერ დაადგინა საკანალიზაციო და სასმელი წყლის მილების ზუსტი ადგილმდებარეობა. გენერატორების მიერ წარმოქმნილი მაურის დონე აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს (იხ. დანართი IX). შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის რეკომენდაციაა რომ ბთჯ-ს კომპანიას აქტიური კომუნიკაცია ჰქონდეს მოსახლეობასთან ხმაურის დონესთან დაკავშირებული სტანდარტების შესახებ. შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის რჩევაა რომ ბთჯ დარწმუნდეს, რომ სპიე კაფაგ პეტროფაგი აკმაყოფილებს მოძრაობის მენეჯმენტის გეგმას და შედეგები გაუზიაროს მოსახლეობას.

	სპიე კაფაგ პეტროფაგის კომპანიამ ბევრი შეკეთება საკუთაი სურვილით ჩაატარა მათ შორის საკანალიზაციო სისტემის, წყლის დამწრეტი არხებისა და გზის შეკეთება სტალინის ქუჩაზეც.	
III. მუშაობის შესახებ	ამ რეგიონში დღევანდელი უმუშევრობის დონე (2004 წლის აგვისტოსათვის) შედარებით დაბალია მილსადენის მშენებლობის გამო. 2004 წლის აგვისტოსათვის მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით წალკის 77 მაცხოვრებელი იქნა დაქირავებული საქართველოს მასშტაბით.	გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების თანახმად, მილსადენის მშენებლობის ყველაზე მეტად დაკავებულ დროს დასაქირავებელ სამუშაოთა რიცხვი მიაღწევს 1,700, რომლის 50-80% შევსებული იქნება საქართველოს მოსახლეობის მიერ. საამშენებლო ბანაკები და მილსადენი უბნები დაიქირავებს დაახლოებით 300 მუშა-ხელს. თითოეულ საამშენებლო ბანაკს ალბათ დასჭირდება დაააახლოებით 100-მდე მუშა როგორც დამხმარე ძალა და (თითოეულ მილსადენის უბანს კი 30). ამ მუშა-ხელტა უმრავლესობა ქართველები იქნებიან. ბთჯ-ს კომპანია დაიქირავებს საქართველოს მოსახლეობას და სამუშაოდ დაიქირავებისას უპირატესობას მიანიჭებს მილსადენის მშენებლობის გავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობას. შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის რჩევაა, რომ ბთჯ-ს კომპანიამ განმცხადებელებს გაუზიაროს ინფორმაცია გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების ვალდებულებების შესახებ და გაუზიარონ

		მოსახლეობას მოხსენებები მონიტორინგის შესახებ რათა მოსახლეობისათვის სრულიად გასაგები იყოს მათთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი შესაძლებლობა.

დასკვნები და რეკომენდაციები

შეთანხმების მრჩეველი/ომბუცმენი არ წარმოადგენს კომპენსაციის კომისიას და არ შეუძლია განსაზღვროს თითოეული კომპენსაციის საკითხი. შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის როლია საჩივარში წამოჭრილ საკითხთა ნეტრალური გადააწყვეტა.

ადგილზე საკუთარი გამოძიებისა და შემდგომი შეფასების შედეგად შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისი მხარს უჭერს 7 ივნისით დათარიღებულ "შეფასების ოქმის" დასკვნებს. ჩვენ ვეთანხმებით იმას რომ წყალდიდობის შედეგად დაზიანებას ადგილი ჰქონდა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავადასტუროთ თუ რა დონეზე არის დაკავშირებული დაზიანება სპიე კაფაგ პეტროფაგის აქტიურობასთან. ნათელია, რომ სპიე კაფაგ პეტროფაგმა თავზე აიღო ნაწილობრივი პასუხისმგებლობა და შეაკეთა წყლის დამწრეტი არხები და დაეხმარა დაზიანებულ მაცხოვრებლებს. შეთანხმების მრჩეველი/ომბუცმენი სთხოვს ბთჯ-ს კომპანიას რათა აღძრული საჩივარი გადაწყდეს პირადად ჩარევის საშუალებით.

შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის რეკომენდაციაა, რომ ბთჯ-ს კომპანიამ ნათლად აუხსნას მაცხოვრებლებს თუ კონტრაქტორები როგორ აკმაყოფილებენ გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების შემამსუბუქებელ საზომ 10-10-ს, განსაკუთრებით კი როგორ ითვალისწინებენ ადგილობრივ ტოპოგრაფიასა და ჰიდროლოგიას ბანაკების მშენებლობისა და მუშაობის დროს.

ბთჯ-ს კომპანიას უკეთესი კომუნიკაცია უნდა ჰქონდეს მშენებლობით ზეგავლენილ მოსახლეობასთან და უფრო მეტი ადგილობრივი მოსახლეობა დაიქირაოს. აგრეთვე აუხსნას მოსახლეობას დაქირავების პროცესი ადგილობრივ და სხვა ადგილებიდან ჩამოსული მუშა-ხელის პროპორციულობის შესახებ.

შეთანხმების მრჩევლის/ომბიცმენის ოფისს უნდა ხაზი გაუსვას რამოდენიმე საკითხს, რომელიც უნდა იქნას მოხსენებული ამ საჩივრებთან დაკავშირებით. ზოგიერთი მათგანი მოხსენებულია საქართველოში ბთჯ-ს წინააღმდეგ აღძრულ ადრინდელ საჩივრებში და შეფასებული შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის მიერ:

- გაუმჯობესდეს კომუნიკაცია მშენებლობით ზეგავლენილ მოსახლეობასთან და დემონსტრირებული იქნას ვალდებულებები და აგრეთვე შეთანხმებულ შემამსუბუქებელ საზომების მონიტორინგი გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების თანახმად.
- უფრო დიდი ყურადღება მიექციოს საჩივრის განხილვას რათა ადგილობრივ მოსახლეობასთან უზრუნველყოფილი იქნას უკეთესი ურთიერთობა. როგორც ჩანს, ეს არის სისტემატიური საკითხი რომელიც წრსულში გაშუქებული იქნა შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის ოფისისა და სოციალური განსახლების გეგმის კომისიის მიერ. ბთჯ-ს ეხლა სჯერა, რომ მდგომარეობა გაუმჯობესებულია. ადრეული რეკომენდაციების მსგავსად, შეთანხმების მრჩევლის/ომბუცმენის რჩევაა რომ საერთაშორისო ფინანსურმა კორპორაციამ მკაცრად ადევნოს თვალ-ყური ბთჯ-სა და მისი კონტრაქტორების მიერ საჩივრის განხილვის ხარისხსა და რაოდენობას რათა მშენებლობით დაზიანებულ მოსახლეობას უკეთესი შედეგები ჰქონდეთ.

დანართი: საჩივარი

შეთანხმების მრჩეველს/ომბუცმენს
2121 Pennsylvania Ave, NW
MSN F 11K-1116
Washington DC, 20433
USA
ფაქსი: 202-522-7400
ელ.ფოსტა: cao-compliance@ifc.org

მამია თავართქილაძე
ავთანდილ თავართქილაძე
თინათინ ნადირაძე
ვალერი კონსტანტინიდი
ედნარ აბულაძე

ჩვენ, მამია თავართქილაძე, ავთანდილ თავართქილაძე, თინათინ ნადირაძე, ვალერი კონსტანტინიდი და ედნარ აბულაძე ვღძრავთ საჩივარს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (ბთჯ) ნავთობ გადამზიდი მთავარი მილსადენის მშენებლობის შესახებ.

ჩვენ ვცხოვრობთ საქართველოს ქალაქ წალკაში (ნაჩვენები თანდართულ რუქაზე). ჩვენთან დაკავშირება შესაძლებელია ქვემოთ მოყვანილ მისამართზე, ტელეფონითა და ფაქსის საშუალებით:

სახელი: მამია თავართქილაძე, ავთანდილ თავართქილაძე, თინათინ ნადირაძე
მისამართი: საქართველო, ქ. წალკა, სტალინის ქუჩა №123
ტელეფონი: +995-99-43-17-20
ფაქსი: +995-32-93-24-03
ელ. ფოსტა: tsalka_town@yahoo.com

სახელი: ვალერი კონსტანტინიდი
მისამართი: საქართველო, ქ. წალკა, სტალინის ქუჩა №127

ტელეფონი: +995-99-92-03-09
ფაქსი: +995-32-93-24-03
ელ. ფოსტა: tsalka_town@yahoo.com

სახელი: ედნარ აბულაძე
მისამართი: საქართველო, ქ. წალკა, სტალინის ქუჩა №130
ტელეფონი: +995-32-93-24-03
ფაქსი: +995-32-93-24-03
ელ. ფოსტა: tsalka_town@yahoo.com

საჩივრის საფუძველი:

1. **პროექტის სახელი, ადგილმდებარეობა და მოკლე დახასიათება:**

პროექტის სახელი: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მთავარი მილსადენი
პროექტის ადგილმდებარეობა: აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მთვარი საექსპორტო მილსადენის პროექტი მოიცავს განვითარებას, დაფინანსებას, მშენებლობას და ოპერაციას ნავთობის სისტემისა რათა გადაზიდოს ნავთობი არსებული ნავთობის სადგურ სანგაჩალიდან ბაქოს (აზერბაიჯანი) მახლობლად საქართველოს გავლით ახალ სადგურამდე რომელიც აშენებული იქნება ჯეიჰანში, თურქეთში, ხმელთაშუა ზღვაზე. წარმოების მთლიანი მოცულობა იქნება 1 მილიონი ბარელი დღეში.

2. **საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ან მრავალმხრივი დაბანდების სააგენტო ჩაბმულია პროექტში (თუკი შეესაბამება)**

პროექტის სპონსორია ბთჯ კომპანია სპეციალური დანიშნულების საფინანსო კომპანიის საშუალებით. ბთჯ-მ აიღო A სესხი US125 მილიონ დოლარამდე და B სესხი US125 მილიონ დოლარამდე საერთაშორისო საფინანსო კორპორაციიდან. გადაწყვეტილება მიღებული იქნა 2003 წლის ნოემბერში.

3. **პროექტის სპონსორია:**

ბთჯ მილსადენის სპონსორებია ამერალდა ჰესი (2.36%), ბრითიშ პეტროლეუმი (30.10%), ქონოქოფილიპსი (2.50%), ენი (5.00%), ინპექსი (2.50%), იტოჩუ (3.40%), სოკარი (25.00%), სტატოილი (8.71%), ტოტალი (5.00%) თიპაო (6.53%) და უნოქალი (8.90%).

ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენის ნაწილისათვის გარემოს დაცვის ნებართავა გაცემული იქნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2002 წლის 30 ნოემბერს. გადაწყვეტილება გამოტანილი იქნა გარემოს დაცვის სამინისტროში პროექტის სპონსორის მიერ წარმოდგენილ გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასებაზე და დამატებით მასალებზე, რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდა ზუსტი რუქები. 2003 წლის დასაწყისისათვის ბთჯ-ს კომპანისს საამშენებლო კონტრაქტორმა სპე კაფაგ პეტროფაგმა ააშენა გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების მიერ გათვალისწონებული შვიდი საამშენებლო ბანაკიდან ერთ-ერთი, რომელიც მდებარეობდა ქალაქ წალკაში (მილსადენის 122-ე კილომეტრზე).

ჩვენი სახლები მოთავსებულია ბთჯ-ს მილსადენის საამშენებლო ბანკის ახლოს და რამოდენიმე ჩვენთაგანის საცხოვრებელი სახლები (მამია თავართქილაძის, ავთანდილ თავართქილაძის და თინათინ ნადირაძის) ესაზღვრება საამშენებლო ბანაკს და მათ ჩვეულებრივი ღობე ჰყოფთ.

ორი წლის წინ მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო მამია თავართქილაძის, ავთანდილ თავართქილაძის და თინათინ ნადირაძის ოჯახები შემოსავლის გაუმჯობესების მიზნით საცხოვრებლად გადმოვიდნენ ხულოს რაიონიდან (სოფელი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ აჭარაში) ქალაქ წალკაში. ეკონომიური სიდუხჭირის გამო სამივე ოჯახმა ერთობლივი ძალებით იქირავა სახლი ადგილობრივი მაცხოვრებლისაგან (კირიაკ აიდანოვისაგან) 50 ლარად (25 USD) თვეში და იმ პირობით რომ სახლს მოუვლიდნენ.

ედნარ აბულაძის ოჯახიც წალკაში ხულოდან გადმოვიდა საცხოვრებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ბთჯ-ს პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების საბუთებში ნათქვამია, რომ “საამშენებლო ბანაკები იქნება აშენებული საქართველოს ტერიტორიაზე და თითოეული მათგანი მოთავსებული იქნება პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალური მოთხოვნილებების მიხედვით”[2] ბთჯ-ს კომპანიამ არ გაითვალისწინა ადგილობრივი ამინდი, ნიადაგის მდგომარეობა და საამშენებლო კომპანიამ კი თავისი საკუთარი მოვალეობები წალკაში საამშენებლო ბანაკის მშენებლობის დროს, ნიაღვრის დროს ჩვენი სახლები დაზიანდა და გახდა ჩვენი საჩივრის მიზეზი.

ქვემოთ არის მოყვანილი დაზიანების მიზეზები:

- სპიე კაფაგ პეტროფაგმა არ შეასრულა საკუთარი მოვალეობა და არ გაითვალისწინა წყლის დამწრეტი არხების არსებობა საამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე. უფრო მეტიც, ბანაკის მშენებლობის დროს ძველი არხი, რომელიც ადრე სახლებს დატბორისგან იცავდა მთლიანად იქნა მწყობრიდან გამოყვანილი.
- სპიე კაფაგ პეტროფაგმა ადგილობრივ მაცხოვრებლებთან შეთანხმების გარეშე და მიუხედავად ჩვენი წინააღმდეგობისა, სტალინის ქუჩაზე გაიყვანა ახალი საკანალიზაციო მილები (საამშენებლო ბანაკისათვის). პლასტმასის საკანალოზაციო მილები გაყვანილი იქნა სასმელი წყლის მილების ზემოთ (რომელიც გვამარაგებს სასმელი წყლით) და მიების დაზიანების შემთხვევაში არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ კანალიზაციის წყალი სასმელ წყალში აირიოს. საკანალიზაციო მილების გაყვანისას ქუჩაზე არსებული წყლის დამწრეტი არცი გაუქმებული იქნა და გზა კი შესამჩნევად დაზიანდა.

ზემოთ მოყვანილის გარდაუნდა ითქვას, რომ საამშენებლო ბანაკი მოთავსებულია მაღლობზე და (წალკის რაიონისათვის დამახასიათებელი) დიდი წვიმების დროს და წყლის დამწრეტი არხის უქონლობის გამო, წყალი დაბლა მიედინება, ნიადაგი ვერ იწოვს (რადგანაც საამშენებლო ბანაკის ახლოს ნიადაგს სპეციალური ზედაფენა აქვს) და გროვდება ღობესთან, შემდეგ კი ნიაღვარი მიემართება ახლო მდებარე სახლებისაკენ. აგრეთვე, მეზობელ სახლებს საკანალიზაციო სისტემა არ აქვთ და კანალიზაციის წყალი გროვდება სპეციალურ ორმოებში. ნიაღვრის დროს ეს ორმოები წყლით ივსება და

---

[2] ბთჯ-ს პროექტის გარემოს დაცვისა და სოცილური გავლენის შეფასება; საქართველო, გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის საბოლოო შეფასება; პროექტის აღწერა, 2002 წლის ნოემბერი.

კანალიზაციის წყალთან ერთად ჩვენს ეზოებში მოედინება. საამშენებლო ბანაკის საკანალიზაციო მილები ხშირად ზიანდება.

4. **იმის შესაძლებლობა არსებობს, რომ პროექტის სოციალურ ან გარემოს დაუცველობას შემდეგი სახის გავლენა ჰქონდეს ჩვენზე:**

მამია თავართქილაძის, ავთანდილ თავართქილაძის და თინათინ ნადირაძის სახლები დაიტბორა საამშენებლო ბანაკიდან მომიდნარე წყლით სამჯერ-პირველად 28-31 მაისს, მეორედ 5-6 ივნისს და ბოლოს 23 ივნისს.

მიყენებული მთლიანი ზარალი- ახლომდებარე ტერიტორიაზე წყლის სიღრმე დაახლოებით ერთი მეტრი იყო. სარდაფი, ეზო და სათავსოები (ბოსელი და ღორების სადგომი) მთლიანად წყლით იყო დაფარული, სარდაფში ყველაფერი გაფუჭდა და სარდაფში შენახული მარაგი (6.5 ტონა დასათესი კარტოფილი, ფქვილის 9 ტომარა, 4 ტომარა შაქარი და 2.5 ტონა ქერი); 60-დან 38 ფუტკრის ოჯახი დაიღუპა დანარჩენმა კი თაფლის წარმოების უნარი დაკარგა, ძროხები გაცივდნენ და დაავადმყოფდნენ, მოთიბული მინდორი სამჯერ იქნა დატბორილი, ხახვის მოსავალი (500კვ.მ), ბოსტნეულობა (500 კვ.მ) და კარტოფილი (1000 კვ.მ) დანადგურდა; სამეურნეო იარაღები - 2 მინი-ტრაქტორი და 3 ფაზიანი ელექტრო იარაღი).

5-6 ივნისს და 23 ივნისს აგრეთვე დაიტბორა ვალერი კონსტანტინიდისა და ედნარ აბულაძის სახლები.

ვალერი კონსტანტინიდისადმი მიყენებული მთლიანი ზარალი - ეზო, სახლი და სათავსოები მთლიანად დაიტბორა, სახლის კედლები დასველდა და გაიბზარა, იატაკს შეცვლა ესაჭიროება (40 კვ.მ), სარდაფში შენახული 1.8 ტონა დასათესი კარტოფილი გაფუჭდა და დატბორვის შედეგად ფუტკრის 24 ოჯახი დაიღუპა.

ედნარ აბულაძისადმი მიყენებული მთლიანი ზარალი იყო - ეზო, სახლის სარდაფი და სათავსოები ნაწილობრივ დაიტბორა და სათავსოებში შენახული სასუქი და პროდუქტები (3 ტონა დასათესი კარტოფილი, 1.5 ტონა ქერი, 2 ტომარა ფქვილი, 1 ტომარა შაქარი, 5 ტომარა კომბინირებული საკვები და 18 ტომარა გვარჯილის სასუქი) უვარგისი გახდა.

მამია თავართქილაძის, ავთანდილ თავართქილაძის, თიანთინ ნადირაძის, ვალერი კონსტანტინიდის და ედნარ აბულაძის საჩივარში სართო პრობლემაა საამშენებლო ბანაკის საკანალიზაციო სისტემის გაყვანისა და სატვირთო მანქანების გამუდმებული მოძრაობის გამო სტალინის ქუჩის დაზიანებას და რომ დაზიანებულ ქუჩაში დიდი წვიმების დროს სიარული შეუძლებელია ორმოების გამო. აგრეტვე აუტანელი ხმაური (მუშების ყვირილი, 4-5 გენერატორის ერთდროულად მუშაობა, სატვირთო მანქანების განუწყვეტელი მოძრაობა) გრძელდება ყოველ დღე დილის 6 საათიდან ღამის 2 საათამდე.

5. მე/ჩვენ შემდეგი ზომები მივიღეთ პრობლემების გადასაწყვეტად:

- **ვალერი კონსტანტინიდისმა** ორჯერ მიმართა სპიე კაფაგ პეტროფაგის კომპანიას (ორჯერვე წერილობით იხ. დანართი I და დანართი II) და მოითხოვა სტალინის ქუჩაზე გზისა და დაზიანებული წყლის დამწრეტი არხების შეკეთება და მისი ოჯახისადმი მორალური და ფიზიკური ზარალის ანაზღაურება, რომლის მიზეზადაც საამშენებლო ბანაკში წარმოებული სამუშაოების გამო გამოწვეული ხმაური და გამონაბოლქვები დაასახელა.

  მხოლოდ მეორე წერილის შემდეგ მიიღო ბატონმა კონსტანტინიდისმა პასუხი სპე კაფაგ პეტროფაგის პროექტის მენეჯერ ოლივერ ბალოისგან (იხ. დანართი IX რომელიც ამბობს რომ… "გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოკვლევების დასკვნის თანახმად არანაირ დარღვევას არ ჰქონია ადგილი და ამის გამო კომპანია კომპენსაციას არ გაიღებს და არ იღებს პასუხისმგებლობას." რაც შეეხება გზისა და არხის შეკეთებას კომპანია დაპირდა, რომ ერთი კვირის მანძილზე შეაკეათებდა. და მართლაც, რამოდინიმე დღეში მოიტანეს სილა სატვირთო მანქანებით და გზა შეაკეთეს. მაგრამ არხები არ შეუკეთებიათ და გზაც მალე დაზიანდა კომპანიის მანქანების გამო.

- **როდესაც მამია თავართქილაძის, ავთანდილ თავართქილაძის და თინათინ ნადირაძის** სახლები პირველად დაიტბორა, (28-31 მაისს)[3] მათ მიმართეს სპიე კაფაგ პეტროფაგის კომპანიას მოთხოვნით რომ ზარალი ანაზრაურებულიყო.კომპანია დათანხმდა ზარალის კომპენსაციას, მაგრამ მოსავლის კომპენსაციაზე უარი თქვა. კომპანიის წარმომადგენლის განაცხადის თანახმად მოსავლის კომპენსაცია მათი კომპანიის პასუხისმგებლობის ფარგლებს გარეთაა და მაცხოვრებლებმა უნდა მიმართონ ადგილობრივ ხელისუფლებას და მიწის განყოფილებას. მთლიანი ზარალი შეფასებული იქნა 3,000 ლარად (1,500 USD) და კოპმანიას სახსრები არ გააჩნდა (კომპანიის წარმომადგენლის განცხადების თანახმად) და ანაზღაურება გაიცა შჰემდეგი სახით: 1 მაცივარი, 2 საყინულე, 24 სკამი, 1 რადიატორი და 20 კგ ლურჯი საღებავი (იხ. დანართი VIII).
